



ზოგადი უნარების მასში

2008

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – კერძალური და მათემატიკური – ნაწილისაგან.
თითოეული ნაწილი 50 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი ან
ხუთი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა
მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს
ტესტს (შესაბამისი ინსტრუქცია იხილეთ პასუხების ფურცელზე).

ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების
ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის
საფუძველზე.

ტესტის თითოეულ ნაწილზე სამუშაოდ გემლევათ 1 საათი და 30 წუთი.
დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტი დროით შეყოვნდებით ტესტის ამა თუ იმ ნაწილზე,
თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით
შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისათვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის
ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარჩევული მიმართება. დააღვინეთ, რა სახისა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუჯებულ სიტყვათა ურთიერთმიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

1. გარიურაჟი : მწუხრი

- (ა) ფაქტი : რეპორტაჟი
- (ბ) რეცენზია : კომენტარი
- (გ) პროლოგი : ეპილოგი
- (დ) ლოკომოტივი : ეშელონი

2. ჭადოსნური ჭოხი : ნატვრისთვალი

- (ა) სარკე : მინა
- (ბ) მოვარე : დისკო
- (გ) რუკა : მასშტაბი
- (დ) საქანელა : კარუსელი

3. თავისუფლება : ოქუპირებული

- (ა) სამართალი : მოსამართლე
- (ბ) წყალი : მწყურვალი
- (გ) წუხილი : მწუხარე
- (დ) ძილი : მძინარა

4. მეტყველება : ინტონაცია

- (ა) ავეჯი : სავარძელი
- (ბ) სოლო : ღუეტი
- (გ) ხილი : არომატი
- (დ) გაკვეთილი : ნიშანი

5. მოიპოვა : დასაჩუქრდა

- (ა) განიზრახა : მოიფიქრა
- (ბ) დააღანაშაულა : დაიბრალა
- (გ) დაიმახსოვრა : დაამახსოვრდა
- (დ) ჩაიძირა : დაილექა

6. გემთმშენებელი : ზღვა

- (ა) გეოლოგი : ნიადაგი
- (ბ) კონსტრუქტორი : პლანერი
- (გ) დიზაინერი : ინტერიერი
- (დ) უურნალისტი : პრესა

7. სმაური : ბგერა

- (ა) ქვაყრილი : ქვა
- (ბ) მიწური : მიწა
- (გ) წნელი : წნული
- (დ) ეკალბარდი : ეკალი

8. სალებავებს აზავებს : ნახატი

- (ა) კრეფს : თაიგული
- (ბ) რწყავს : ბალი
- (გ) ხაზაგს : სქემა
- (დ) აფასებს : ქულა

წინადაღებების შევსება

ამ სახის დაგალებებში მოცემულია წინადაღებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადაღებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაულო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (//) გამოჩნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასმა შესაბამის გამოტოვებულ ადგილებში აზრობრივად გამართულ წინადაღებას მოგვცემს.

9. მოდილიანის ფერწერაში ----- შეხვდებით ----- სახის გამომეტყველებას. ----- ამ პორტრეტების დამახასიათებელი ნიშანია. ----- , რომ პორტრეტების ფონს უმეტესად ----- კარი წარმოადგენს.

- (ა) ხშირად / „იოლად წასაკითხ“ / გულჩახვეულობა / ამიტომ შემთხვევითია / მაგრად დაკეტილი
- (ბ) ხშირად / „რთულად წასაკითხ“ / გულლიაობა / თუმცა, გასაკვირი არაა / ფართოდ გალებული
- (გ) იშვიათად / „რთულად წასაკითხ“ / გულლიაობა / თუმცა, გასაკვირია / ფართოდ გალებული
- (დ) იშვიათად / „იოლად წასაკითხ“ / გულჩახვეულობა / ამიტომ შემთხვევითი არ არის / მაგრად დაკეტილი

10. შუა საუკუნეების დროინდელი ერთ-ერთი მემატიანე წერს, რომ ხანძარმოდებულ ქალაქში ----- შენობათა ნგრევის ----- . ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმ მოსაზრების ----- , რომ შუა საუკუნეებში გრძნობად აღქმაში სმენა ----- მხედველობა.

- (ა) მასზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა / ხმაშ და არა თვით ხანძრის ხილვაშ / სასარგებლოდ / უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ვიდრე –
- (ბ) მასზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა / ხილვაშ და არა ნგრევის ხმაშ / საწინააღმდეგოდ / არ იყო ისე მნიშვნელოვანი, როგორც
- (გ) მასზე გაცილებით ნაკლებად იმოქმედა / ხმაშ, ვიდრე – ხანძრის ხილვაშ / საწინააღმდეგოდ / ნაკლები მნიშვნელობისა იყო, ვიდრე –
- (დ) მასზე გაცილებით ნაკლებად იმოქმედა / ხილვაშ, ვიდრე – ნგრევის ხმაშ / სასარგებლოდ / არ იყო ისე მნიშვნელოვანი, როგორც

11. ტერმინი „მიბაძვა“ ხელოვნებაში სხვადასხვაგვარად ესმოდათ. ამჟამად ყოველი შემოქმედი ----- წარმოაჩინოს ----- . რენესანსის ეპოქაში მწერლობისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან ----- შეიმჩნეოდა – ისინი სიამაყით აცხადებდნენ, რომ ----- ანტიკურობის საუკეთესო ნიმუშებს.

- (ა) ნაკლებადაა დაინტერესებული / საკუთარი თვითმყოფადობა და უარყოს „წინაპართა“ გავლენა / ანალოგიური ტენდენცია / არ ბაძავდნენ
- (ბ) განსაკუთრებით დაინტერესებულია / საკუთარი თვითმყოფადობა, ისევე, როგორც „წინაპართა“ გავლენა საკუთარ შემოქმედებაზე / საპირისპირო ტენდენცია / ბაძავდნენ
- (გ) განსაკუთრებით დაინტერესებულია / საკუთარი თვითმყოფადობა და უარყოს „წინაპართა“ გავლენა / საპირისპირო ტენდენცია / ბაძავდნენ
- (დ) ნაკლებადაა დაინტერესებული / საკუთარი მიმბაძველობა, ისევე, როგორც „წინაპართა“ გავლენა საკუთარ შემოქმედებაზე / ანალოგიური ტენდენცია / ბაძავდნენ

12. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ამ ექსპერიმენტში ცდისპირები ----- ჯგუფის ზეგავლენას, არამედ ----- ჯგუფის წევრთა ----- .

- (ა) არა მხოლოდ ეწინააღმდეგებოდნენ / არ ერიდებოდნენ / ზემოქმედებისთვის წინააღმდეგობის გაწევას
- (ბ) არათუ არ ემორჩილებოდნენ / არ ერიდებოდნენ / უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლას
- (გ) არათუ არ ეწინააღმდეგებოდნენ / ცდილობდნენ / აზრის იგნორირებას
- (დ) არა მხოლოდ ემორჩილებოდნენ / ცდილობდნენ / დადებითი შეფასების დამსახურებას

13. ერთი მხრივ, წარსულიდან მომავლისკენ და, მეორე მხრივ, მომავლიდან წარსულისკენ მიმართული მზერა ----- დაკვირვების ობიექტს. თუ მზერა წარსულიდან მომავლისკენაა მიმართული, აწმყოს ----- ერთობლიობად აღვიძვამთ. ----- როცა წარსულისკენ ვიხედებით, ----- .

- (ა) არ ცვლის / განსხვავებული ფაქტების / ასევე, / თანაბრად მოსალოდნელ შესაძლებლობათა მთელ ჭაჭვს ვხედავთ
- (ბ) სრულიად ცვლის / თანაბრად მოსალოდნელ შესაძლებლობათა / მაგრამ / რეალობას ფაქტის სტატუსი ენიჭება
- (გ) არ ცვლის / თანაბრად მოსალოდნელ შესაძლებლობათა / მაგრამ / განსხვავებულ შესაძლო შემთხვევათა ჭაჭვს ვხედავთ
- (დ) სრულიად ცვლის / განსხვავებული ფაქტების / ასევე, / რეალობას ფაქტის სტატუსი ენიჭება

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გავიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

14. ჩოგბურთის მოედნის შესასვლელთან გამოკრულია განცხადება:

- „14-დან 16 საათამდე მოედანზე მხოლოდ კლუბ „სატურნის“ წევრები ვარჩიშობენ.“ ამავე დროს, ცნობილია, რომ:
- „სატურნის“ ყველა წევრი საშუალო სკოლის მოსწავლეა

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ამ ინფორმაციიდან?

- (ა) 14-დან 16 საათამდე ჩოგბურთის სხვა მოედნებზეც სკოლის მოსწავლეები ვარჩიშობენ
- (ბ) ამ მოედანზე სხვა საათებში პროფესიონალი ჩოგბურთელები ვარჩიშობენ
- (გ) ის, ვინც საშუალო სკოლის მოსწავლე არ არის, 14-დან 16 საათამდე ჩოგბურთის ამ მოედანზე არ ვარჩიშობს
- (დ) კლუბ „სატურნისგან“ განსხვავებით, სხვა საჩოგბურთო კლუბის არც ერთი წევრი არ არის საშუალო სკოლის მოსწავლე

15. სოციოლოგებმა A რეგიონში ჩატარეს კვლევა, რომლის მონაცემებით ცხადი გახდა, რომ ამ რეგიონის მცხოვრებთა 95% ბუნებაში ყოფნისას შემგროვებლურ-მონადირული საქმიანობითაა დაკავებული, მაშინ, როცა მხოლოდ 5%-ს სურს ბუნებაზე დაკვირვება და ზრუნვა მის დასაცავად. სოციოლოგებმა ივარაუდეს, რომ ეს ტენდენცია რეგიონის მცხოვრებთა დაბალმა ეკოლოგიურმა კულტურამ განაპირობა.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტი განამტკიცებს ამ ვარაუდს?

- (ა) ამ რეგიონის მცხოვრებნი მკაცრად იცავენ მონადირეთა კლუბის თუ გარემოს დაცვის ასოციაციის წესდების მოთხოვნებს, რომლებიც ბუნების დაცვის თანამედროვე პრინციპებს ემყარება
- (ბ) ამ რეგიონში დიდი ხანია აკრძალულია ტყის გაჩეხვა და გამოიყენება საწვავის უფრო ეფექტური და ეკონომიური სახეობები
- (გ) ამ რეგიონში მთებით, ტბებითა თუ ჩანჩქერებით მდიდარი უამრავი ტერიტორიაა კარგად მოვლილი და დაცული, რაც ბიოლოგებსა თუ ბუნებისმოყვარულ ტურისტებს იზიდავს
- (დ) ამ რეგიონის ხელმძღვანელობამ პრემია დააწესა მტაცებელთა განადგურებისთვის, ხოლო მათი რაოდენობის შემცირებამ ეკოსისტემის რღვევის საფრთხე შექმნა

16. მოცემულია:

- აკრობატებს სრულიად არ აქვთ სიმაღლის შიში ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნდა ავიღოთ მეორე დებულებად, რომ შევძლოთ დავასკვნათ:
 - ცირკის ზოგიერთ მსახიობს სრულიად არ აქვს სიმაღლის შიში
- (ა) ზოგიერთი აკრობატი ცირკში მუშაობს
 - (ბ) აკრობატები არ მიეკუთვნებიან გაუბედავ ადამიანთა რიცხვს
 - (გ) რაც უფრო დიდხანს მუშაობს ცირკში მსახიობი, მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მას სიმაღლის შიში ჰქონდეს
 - (დ) რაც უფრო გაუბედავია მსახიობი, მით უფრო მეტად მოსალოდნელია, რომ მას სიმაღლის შიში ჰქონდეს

17. ლევანი და მარი წლის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას ისვენებენ – საზღვაო და სამთო კურორტებზე, აგარაკზე, სოფელში და საზღვარგარეთ, მაგრამ ყოველ წელს ამ დასასვენებელ ადგილთაგან მხოლოდ სამს ირჩევენ. ამასთან:

- თუ რომელიმე წელს ისვენებენ სამთო კურორტზე, იმავე წელს ისვენებენ ზღვაზეც
- თუ რომელიმე წელს ისვენებენ სოფელში, შემდეგ წელს იქ აღარ მიღიან დასასვენებლად
- ყოველ წელს დასასვენებლად ირჩევენ მხოლოდ ერთს იმ ადგილებიდან, სადაც შარშან ისვენებდნენ

შარშან ლევანი და მარი დასასვენებლად იყვნენ საზღვაო და სამთო კურორტებზე, ასევე, სოფელში. სად წავლენ ისინი დასასვენებლად წელს?

- (ა) ზღვაზე, აგარაკზე და საზღვარგარეთ
(ბ) მთაში, აგარაკზე და საზღვარგარეთ
(გ) ზღვაზე, სოფელში და აგარაკზე
(დ) ზღვაზე, მთაში და სოფელში

18. ოთხმა მოსწავლემ გამოთქვა თავისი მოსაზრება არითმეტიკული ამოცანის პასუხთან დაკავშირებით.

თამუნა: ამოცანის პასუხია 9;

ეკა: ეს კენტი რიცხვია;

ნიკა: ეს რიცხვი 7-ზე მეტი და 16-ზე ნაკლებია;

გიორგი: ამოცანის პასუხია 15.

აღმოჩნდა, რომ გოგონებიდანაც და ბიჭებიდანაც ერთის მოსაზრება სწორია, მეორისა – არა. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ამოცანის პასუხი?

- (ა) 7
(ბ) 9
(გ) 13
(დ) 15

წაკითხული ტექსტის გააზრება

უურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

აღამიანის და ფუტკრის ყნოსვის ორგანოთა ანატომიური აგებულება სრულიად სხვადასხვაა. მიუხედავად ამისა, ფუტკრები თითქმის ისევე შეიგრძნობენ სუნს, როგორც ადამიანები, თუმცა, ფუტკარს უფრო გაფაქიზებული აქვს ყნოსვა ყვავილთა სურნელის მიმართ. ფუტკრებს დავუდგათ რამდენიმე ფიალა, რომელთაგან მხოლოდ ერთში ასხია თაფლი. ამ ფიალას ლავანდის ესენცია წავუსვათ. მას შემდეგ, რაც ფუტკრები რამდენჯერმე შეჭამენ თაფლს ფიალიდან, შევცვალოთ ფიალების განლაგება, ამასთან, არც ერთ მათგანში თაფლი აღარ ჩავასხათ. თუ ფუტკარი მაინც უშეცდომოდ მოძებნის ლავანდის სურნელიან ფიალას, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი სუნით ცნობს მას. შემდეგ ცდაში ლავანდის სურნელი შევცვალოთ სხვა, მისი მსგავსი სურნელით. თუ ფუტკარი დაჯდება ამ ფიალაზე, უნდა ვიგარაუდოთ, რომ იგი ორ მსგავს სურნელს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს; თუ არ დაჯდება – საფიქრებელია, რომ ის განასხვავებს მათ. ასე თანდათანობით, სურნელისა და მისი ინტენსივობის ცვლით, შეიძლება ფუტკრის ყნოსვით უნარის გამოკვლევა.

ცნობილია, რომ მზვერავი ფუტკრები „აცნობებენ“ მთელ სკას საკვებით მდიდარი ადგილების შესახებ, გარკვეული მოძრაობებით მიანიშნებენ მანძილსა და მიმართულებას, რომელსაც მზის მიხედვით განსაზღვრავენ. ამ დროს ფუტკრები ულვაშებით ეხებიან მზვერავის მუცელს და, როგორც ჩანს, შეიგრძნობენ ყვავილის (მაგალითად, აკაციის) სურნელს, რომლითაც გაუღენთილია იგი. ისინი ზუსტად განსაზღვრული „საპარო გზებით“ მიეურებიან ნექტრის შესაგროვებლად. ფრენისას ფუტკრები არ მიაქცივენ უურადლებას სხვა ყვავილებს, არ შეხედავენ აყვავებულ წაბლის ხეს, თუნდაც ის მათ გზაზე იღვეს.

საინტერესოა, სამყარო ფუტკრებისთვის ისეთივე ფერადოვანია, როგორიც ჩვენთვის, თუ შავ-თეთრი ფოტოგრაფიის მსგავსია? კარლ ფონ ფრიშმა 1956 წელს ჩატარა ექსპერიმენტი, რომლის საშუალებითაც დაადგინა, რომ ფუტკრებს აქვთ ფერის შეგრძნების უნარი. მაგიდაზე დააწყვეს ერთი ლურჯი და რამდენიმე სხვადასხვა ტონის რუხი ფერის ფირფიტა. ლურჯ ფირფიტაზე ფუტკრის მოსაზიდად ცოტაოდენი თაფლი დაასხეს და ის მაგიდის ცენტრში მოათავსეს. მას შემდეგ, რაც ფუტკარმა ლურჯი ფირფიტიდან თაფლი შეჭამა, ის შეცვალეს იმავე ფერის ახალი ფირფიტით, რომელიც ამჯერად მაგიდის კიდესთან დადეს. რუხ ფირფიტებს შორის იყო რამდენიმე ისეთი ფირფიტა, რომელთა გარჩევა ლურჯისგან შეუძლებელი იქნებოდა შავ-თეთრ ფოტოზე. ფუტკარს ფერის შეგრძნების უნარი რომ არ ჰქონდა, ყველა ამ ფირფიტასთან მიფრინდებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ლურჯი ფირფიტა დანარჩენებისგან აღვილად გამოარჩია.

ცდებითვე გაირკვა, რომ ფუტკარი ვერ ხედავს ზოგიერთ ფერს, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ, მაგალითად, წითელს; სამაგიეროდ, ხედავს ულტრაიისფერ სხივებს, რომლებიც უხილავია ადამიანის თვალისთვის: ფუტკარი სხვადასხვაგვარად აღიქვამს ორ თეთრ დაფას, რომელთაგან ერთი ულტრაიისფერი სხივების ამრეკლავი თეთრი სალებავითაა შეღებილი, მეორე კი – ამ სხივების შთანმთქმელი თეთრი სალებავით, თუმცა, ადამიანის მიერ ორივე დაფის ფერი ერთნაირად აღიქმება. ულტრაიისფერ სხივებს ყველაზე ძლიერად ირექლავს თეთრი ყვავილები და ამიტომ ისინი ფუტკრებისთვის მკვეთრად გამოირჩევა ფოთლების ფონზე, რომლებიც მათთვის ლია რუხი ფერისაა.

ფუტკრების უნარზე, შეიგრძნონ ულტრაიისფერი გამოსხივება, მიუთითებს ისიც, რომ მათ მზის მიხედვით ორიენტირება ღრუბლიან ამინდშიც შეუძლიათ. მზის ადგილმდებარეობას ისინი განსაზღვრავენ ულტრაიისფერი სხივებით, რომლებსაც ღრუბლები ვერ აკავებს. თუ იმ მხრიდან, საითაც მზეა, ფუტკრებს დავუდგამთ ფილტრს, რომელიც ულტრაიისფერ სხივებს არ ატარებს, ისინი ვერ შეძლებენ მზის მიხედვით ორიენტირებას.

19. I აბზაცში აღწერილი ცდების შესახებ შეიძლება ითქვას:

- (ა) ფუტკარი ისევე შეიგრძნობს ყვავილთა სურნელს, როგორც ადამიანი, ამიტომ ყვავილის სურნელისა და მისი ინტენსივობის ცვლით შეგვიძლია ფუტკრის შეგრძნებათა კვლევა
- (ბ) მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისა და ფუტკრის ყნოსვის ორგანოთა ანატომიური აგებულება განსხვავებულია, I აბზაცში აღწერილი ცდები გვიჩვენებს, რომ ფუტკრები ზუსტად ისევე შეიგრძნობენ სუნს, როგორც ადამიანები
- (გ) ფუტკარი ორ მსგავს სურნელს ერთმანეთისგან ვერ განასხვავებს, სურნელის ინტენსივობის შეცვლის შემთხვევაში კი მან, სავარაუდოდ, უნდა შეძლოს მათი გარჩევა
- (დ) მიუხედავად იმისა, რომ I აბზაცში ცდების შედეგები არ არის წარმოდგენილი, ზუსტად არის მითითებული ის გზა, რომლის მეშვეობითაც უნდა დავადგინოთ ფუტკრის ერთ-ერთი შეგრძნების თავისებურებანი

20. „ფუტკრები არ მიაქცევენ ყურადღებას სხვა ყვავილებს, არ შეხედავენ აყვავებულ წაბლის ხეს, თუნდაც ის მათ გზაზე იღეს“, რადგან:

- (ა) ისინი ზუსტად განსაზღვრული „საპაერო გზებით“ მიეშურებიან ნექტრის შესაგროვებლად
- (ბ) მათ ერთი შიზანი აქვთ: ნექტრის ასაღებად იმ ყვავილებთან უნდა მიფრინდნენ, რომელთა შესახებ მათ მზვერავმა ფუტკარმა აცნობა
- (გ) ულვაშებით შეხებისას ფუტკარი შეიგრძნობს მხოლოდ ზოგიერთი ყვავილის სურნელს იმ სურნელთაგან, რომელებითაც გაუღენთილია მზვერავი ფუტკარი
- (დ) ისინი მიფრინავენ საკვებით უფრო მდიდარი ადგილებისკენ, ვიდრე – წაბლის ხე და მის ირგვლივ არსებული გარემოა

21. ფერის შეგრძნების უნარი რომ არ ჰქონოდა:

- (ა) ფუტკარი რუხსა და ლურჯ ფირფიტებს ერთმანეთისგან ფერით მაინც განარჩევდა, თუ თაფლს მხოლოდ რუხ ფირფიტებზე დაასხამდნენ
- (ბ) ფუტკრისთვის ხილული სამყარო შავ-თეთრი ფოტოგრაფიის მსგავსი იქნებოდა, მას რუხი ფერის განსხვავებული ტონების გარჩევაც კი გაუჭირდებოდა
- (გ) ფუტკარი იმ რუხ ფირფიტებთანაც მიფრინდებოდა, რომელთა ფერის ინტენსივობა ლურჯისას დაემთხვეოდა
- (დ) ფუტკრისთვის ლურჯი ფირფიტის ამოცნობა მაინც შესაძლებელი იქნებოდა, თუ მას, ცენტრის ნაცვლად, მაგიდის კუთხეში მოვათავსებდით

22. ტექსტის მიხედვით, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:

- (ა) ფუტკრისთვის ადვილია ბალახში იების ფერის გამორჩევა
- (ბ) ფუტკრისთვის არაა ადვილი გვირილებისა და იების ფერების ერთმანეთისგან გარჩევა
- (გ) ფუტკრისთვის ადვილია გვირილებისა და ყაყაჩოების ფერების ერთმანეთისგან გარჩევა
- (დ) ფუტკრისთვის არაა ადვილი ბალახში ყაყაჩოს ფერის გამორჩევა

23. III აბზაცი იწყება შეკითხვით. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი პასუხობს მას?

- (ა) ფრიშის ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ფუტკრებს აქვთ ფერის შეგრძნების უნარი, უფრო მეტიც, ისინი იმ სხივებსაც ხედავენ, რომლებიც აღამიანის თვალისთვის უხილავია
- (ბ) ფრიშის ექსპერიმენტით დადგინდა, რომ ფუტკრები ხედავენ მხოლოდ ერთნაირი ინტენსივობის ფერებს, თუმცა, თეთრი ფერი მათთვის მკვეთრად გამოირჩევა
- (გ) თეთრი დაფების ეპიზოდი ცხადყოფს, რომ ფუტკრები აღამიანისგან განსხვავებულად აღიქვამენ ფერებს, ხილული სამყარო მათთვის შავ-თეთრ ფოტოგრაფიას ემსგავსება
- (დ) თეთრი დაფების ეპიზოდი ცხადყოფს, რომ ფუტკრები ერთმანეთისგან ვერ განარჩევენ სხვადასხვა ფერს, თუმცა, ხედავენ ულტრაიისფერ სხივებს, ამიტომ სამყარო მათთვის არ ემსგავსება შავ-თეთრ ფოტოგრაფიას

24. რომელი მოსაზრება შეიძლება მივიჩნიოთ მართებულად, ტექსტის მიხედვით?

- (ა) რაღაც ფუტკრები მზის მიხედვით ორიენტირებენ, მათ უჭირთ ღრუბლიან ამინდში საკვებით მდიდარი ადგილების ზუსტად მინიშნება
- (ბ) რაკი ღრუბლიან ამინდში მზის ადგილმდებარეობას ფუტკრები განსაზღვრავენ ულტრაიისფერი სხივებით, უნდა ვიფიქროთ, რომ ღრუბლები ვერ აკავებს ამ სხივებს
- (გ) რაღაც ფუტკრებს არ უჭირთ ღრუბლიან ამინდში ორიენტირება, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ აღამიანის მსგავსი მხედველობითი შეგრძნების უნარი აქვთ
- (დ) თუ იმ მხრიდან, საითაც მზეა, არ დავდგამთ ულტრაიისფერი სხივების შემაკავებელ ფილტრს, ეს სხივები აღამიანისთვისაც ხილული გახდება

25. რომელ ორ აბზაცს აქვს ანალოგიური ფუნქცია ტექსტში?

- (ა) II და V
- (ბ) II და IV
- (გ) II და III
- (დ) I და V

ანალოგიები

ამ სახის დავალუბებში მოცემულია მუქი შრიფტით გამუკეთილი ორი სიტყვა, რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დააღინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაულო პასუხთა ყოველ გარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება გამუქებულ სიტყვათა ურთიერთმიძართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილუბში სიტყვათა თანმიმდევრობა.

26. ბაძავს : მსგავსი

- (ა) აფასებს : ადეკვატური
- (ბ) აცხელებს : ადულებული
- (გ) ასრულებს : არასრული
- (დ) ხვეწს : უკეთესი

27. თავლა : დოლი

- (ა) ფრონტი : ომი
- (ბ) მარანი : ნადიმი
- (გ) თეატრი : პრემიერა
- (დ) არქივი : სასამართლო

28. პიკი : კულმინაცია

- (ა) ცენტრი : წერტილი
- (ბ) გვერდი : წიბო
- (გ) ზედაპირი : ფსკერი
- (დ) კიდე : პერიფერია

29. ხელოვანი : ვირტუოზი

- (ა) ხელისუფალი : მონარქი
- (ბ) მეცნიერი : პროფესორი
- (გ) შეგირდი : ოსტატი
- (დ) სპორტსმენი : ჩემპიონი

30. თვალი მოჰკრა : დაათვალიერა

- (ა) შეფერხდა : შეაყოვნა
- (ბ) აღნიშნა : ჩაიწერა
- (გ) ჩავარდა : ჩავიდა
- (დ) მიემხრო : დაეხმარა

31. ადამიანის სახე : პორტრეტი

- (ა) მელოდია : სიმღერა
- (ბ) პიესა : სპექტაკლი
- (გ) ბეჭედი : ანაბეჭდი
- (დ) გლობუსი : დედამიწა

32. მერყეობა : გადაწყვეტილების მიღება

- (ა) იმედი : სასოწარკვეთა
- (ბ) რისკი : გაბედვა
- (გ) შეცდომა : გამოაშეარავება
- (დ) სიახლე : დანერგვა

წინადაღებების შევსება

ამ სახის დავალებებში მოცემულია წინადაღებები, რომლებშიც რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. გამოტოვებული სიტყვები წინადაღებაში ხაზებით არის აღნიშნული. ერთი ხაზი ზოგჯერ ერთ სიტყვას გულისხმობს, ზოგჯერ კი – რამდენიმეს.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში მოცემულია სიტყვათა ჯგუფი, რომლის ნაწილები ერთმანეთისგან დახრილი ხაზებითაა (//) გამიჯნული. აირჩიეთ პასუხის ის ვარიანტი, რომლის თითოეული ნაწილის თანმიმდევრულად ჩასრულდება გამოტოვებულ აღგიღებში აზრობრივად გამართულ წინადაღებას მოგვცემს.

33. საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ძალთა წონასწორობის კონცეფციის ფუნქცია -- შენარჩუნება. -- ძალთა წონასწორობა ამ სისტემაში ყოველთვის -- არ გულისხმობს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფოები -- ძალთა წონასწორობის აღსაღენად.

- (ა) მშვიდობის და, შესაბამისად, არსებული სისტემის / თუმცა, / ომს / მშვიდობას იცავენ
- (ბ) არა მშვიდობის, არამედ თავად სისტემის / ამიტომ / მშვიდობას / ომს მიმართავენ ხოლმე
- (გ) არა საომარი მდგომარეობის აღკვეთა, არამედ მშვიდობის / ამიტომ / მშვიდობას / ომს თავს არიდებენ
- (დ) საომარი მდგომარეობის აღკვეთა და, შესაბამისად, მშვიდობის / თუმცა, / ომს / ომს მიმართავენ ხოლმე

34. როცა ვსაუბრობთ -- , მაშინ ხომ -- , როგორც მის ზღვარს. ამიტომ როცა ეს -- მოგვევლინება, მაშინ მისტიფიკაციად -- მივიჩნიოთ ის, რაც მოხდა.

- (ა) შესაძლებელზე / თავისთავად ვგულისხმობთ შეუძლებელსაც / შეუძლებელი / არ უნდა
- (ბ) შეუძლებელზე / ყოველთვის გამოვრიცხავთ შესაძლებელს / შესაძლებელი / არ უნდა
- (გ) შესაძლებელზე / არასოდეს გამოვრიცხავთ შეუძლებელს / შეუძლებელი / უნდა
- (დ) შეუძლებელზე / ყოველთვის ვგულისხმობთ შესაძლებელსაც / შესაძლებელი / უნდა

35. ერთმანეთისგან ----- სოციალური მოდელები, რომლებიც განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ----- ცვლილების შინაგან ფაქტორებს და ხშირად აღწერენ საზოგადოების განვითარებას ისეთი ტერმინების საშუალებით, როგორებიცაა ----- ; და, მეორე მხრივ, ისეთი მოდელები, რომლებიც მეტ ყურადღებას ცვლილების ----- ანიჭებენ და იყენებენ ისეთ ცნებებს, როგორებიცაა ----- .

- (ა) უნდა გავარჩიოთ / არ ანიჭებენ / „მიბაძვა“, „გადმოლება“ / გარე ფაქტორებს / „იმიტაცია“, „იდენტიფიკაცია“
- (ბ) არ განირჩევა / არ ანიჭებენ / „იმიტაცია“, „გადმოლება“ / შინაგან ფაქტორებს / „მიბაძვა“, „იდენტიფიკაცია“
- (გ) უნდა გავარჩიოთ / ანიჭებენ / „ევოლუცია“, „ზრდა“, „დაცემა“ / გარე ფაქტორებს / „იმიტაცია“, „გადმოლება“
- (დ) არ განირჩევა / ანიჭებენ / „პიროვნული ზრდა“, „ზნეობრივი დაცემა“ / შინაგან ფაქტორებს / „იმიტაცია“, „გადმოლება“

36. აღამიანები ხოტბას ასხამენ მხოლოდ საშუალო ნიჭს. ასე დაადგინა უმრავლესობამ, და ის უპირისპირდება ყველას, ვინც არ ეტევა ამ ჩარჩოში. მე ----- , დავეტიო ამ შუალედში და ----- , მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ----- . ზუსტად ასევე ----- უკიდურესობასაც.

- (ა) თანახმა ვარ / არ მსურს მივუახლოვდე ქვედა უკიდურესობას / კიდეა, არამედ იმიტომ, რომ ის ქვედაა / ავარიიდებდი თავს ზედა
- (ბ) უარს ვაცხადებ / ვისწრაფვი ზედა უკიდურესობისკენ / ზედაა, არამედ იმიტომ, რომ ის კიდეა / უარვყოფდი ქვედა
- (გ) თანახმა ვარ / უარს ვაცხადებ ქვედა უკიდურესობაზე / ქვედაა, არამედ იმიტომ, რომ ის კიდეა / უარვყოფდი ზედა
- (დ) უარს ვაცხადებ / ვისწრაფვი ზედა უკიდურესობისკენ / კიდეა, არამედ იმიტომ, რომ ის ზედაა / ავარიიდებდი თავს ქვედა

37. თეოფრასტეს აზრით, ----- განცხრომის სურვილთან წილნაყარი შეცოდება, ----- სიმწარესთან წილნაყარი დანაშაული. პირველ შემთხვევაში შემცოდე ----- სათამაშოდ ქცეული, მეორეში კი, პირიქით, შემცოდე ----- , რომელსაც სწორედ ეს უსამართლობა ----- .

- (ა) უფრო მეტი გმობის ღირსია / ვიდრე - / თვითონ ისწრაფვის უსამართლობისკენ, საკუთარი ვნებების / უსამართლობის მსხვერპლს უფრო ჰგავს / აღუძრავს რისხვას
- (ბ) უფრო მეტი გმობის ღირსია / ვიდრე - / განიცდის უსამართლობას, სხვათა ნება-სურვილის / თავად არის უსამართლობის ჩამდენი / აქცევს მსხვერპლად
- (გ) თანაბრად დასაგმობია როგორც / ასევე / თავად განიცდის უსამართლობას, სხვათა ნება-სურვილის / უსამართლობის მსხვერპლს უფრო ჰგავს / აღუძრავს რისხვას
- (დ) თანაბრად დასაგმობია როგორც / ასევე / თვითონ ისწრაფვის უსამართლობისკენ, საკუთარი ვნებების / თვითონ არის უსამართლობის ჩამდენი / აქცევს მსხვერპლად

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიაღვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ფორმით.

38. ყვავილების სათბურში სამი ქოთანი დგას წარწერებით: „ლიმონი“, „ყვავილები“, „ვარდი“. ქეთიმ ამ ქოთნებში დარგო ლიმონი, ტიტა და ვარდი, ოლონდ ისე, რომ სამივე წარწერა მცდარი აღმოჩნდა.

ყველა მცდარებ გაიხარა. რა აღმოცენდა ქოთანში, წარწერით – „ვარდი“?

- (ა) ლიმონი
- (ბ) ტიტა
- (გ) ვარდი
- (დ) მონაცემები საკმარისი არ არის კითხვაზე პასუხის გასაცემად

39. პედაგოგთა დაკვირვებით, როგორც კი უფროსკურსელი ინტერესდება კომპიუტერით, ის მაშინვე იწყებს ინგლისური ენის ინტენსიურ შესწავლას. გამოითქვა ვარაუდი, რომ დამამთავრებელი კურსის სტუდენტები სამსახურის დასაწყებად ემზადებიან, დასაქმების მნიშვნელოვან წინაპირობას კი კომპიუტერისა და ინგლისური ენის ცოდნა წარმოადგენს.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დებულება აყენებს ეჭვებებს ამ ვარაუდს?

- (ა) უფროსკურსელთა უმრავლესობას უცხოეთში სურს სამსახურის დაწყება და, შესაბამისად, აქტიურად იყენებს ინტერნეტს, რომლის მეშვეობით ეცნობა გამოცხადებულ სამუშაო ვაკანსიებს
- (ბ) კომპიუტერის იმ მომხმარებლებს, რომლებმაც კარგად არ იციან ინგლისური ენა ან დიდ დროს ანდომებენ კომპიუტერულ პროგრამებში გარკვევას, უჭირთ სამსახურში მოწყობა
- (გ) უფროსკურსელთა უმრავლესობა ისეთ დაწესებულებებში აპირებს სამსახურის დაწყებას, სადაც აუცილებელია კომპიუტერისა და უცხო ენის ფლობა
- (დ) უფროსკურსელთა უმრავლესობა გამოცდებისთვის მზადებისას ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალით სარგებლობს, რომელიც, ძირითადად, ინგლისურ ენაზეა

40. A, B, C, D და E ქვეყნები ერთმანეთს მხოლოდ ავიატრანსპორტით უკავშირდება.

- A ქვეყანას ოთხი ავიახაზი აკავშირებს დანარჩენ ქვეყნებთან – თითო ავიახაზი თითო ქვეყანასთან
- B ქვეყანას, გარდა იმ ავიახაზისა, რომელიც მას A-სთან აკავშირებს, კიდევ ორი ავიახაზი აკავშირებს, შესაბამისად, C და D ქვეყნებთან
- E ქვეყანას, გარდა იმ ავიახაზისა, რომელიც მას A-სთან აკავშირებს, ერთი ავიახაზი აკავშირებს C ქვეყანასთან

D ქვეყნიდან E-ში ჩასასვლელად, ისე, რომ ერთ ქვეყანაში ორჯერ არ მოვხვდეთ, უნდა გამოვიყენოთ მაქსიმუმ:

- (ა) სამი ავიახაზი
(ბ) ოთხი ავიახაზი
(გ) ხუთი ავიახაზი
(დ) ექვსი ავიახაზი

41. ახალგაზრდა ექიმმა შენიშნა, რომ A და B პაციენტთაგან, რომლებსაც ერთი და იგივე დაავადება აწუხებლათ და ერთი და იგივე მედიკამენტები ჰქონდათ დანიშნული, A გაცილებით უფრო ადრე გამოჭანმრთელდა, ვიდრე – B. გამოჭანმრთელების განსხვავებული ტემპი ექიმმა იმით ახსნა, რომ A პაციენტი უფრო მკაცრად იცავდა მკურნალობის რეჟიმს, ვიდრე – B პაციენტი.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი განამტკიცებს ექიმის ამ მოსაზრებას?

- (ა) A პაციენტს უფრო ძლიერი იმუნური სისტემა ჰქონდა, ვიდრე – B პაციენტს
(ბ) B პაციენტმა ექიმს უფრო გვიან მიმართა, ვიდრე – A პაციენტმა
(გ) B პაციენტს, A-სთან შედარებით, ამ დაავადების უფრო იოლი ფორმა ჰქონდა
(დ) A პაციენტი, B-სგან განსხვავებით, ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტების გარდა, ჰომეოპათიურ საშუალებებსაც იყენებდა

42. ნინი ეძებს კინოფირს, რომელზეც ანიმაციური ფილმია ჩაწერილი. მაგიდაზე დევს სამი კოლოფი: I, II და III. ერთში კინოფირია, დანარჩენი ორი კოლოფი კი ცარიელია. კოლოფებს აწერია:

- I – ეს კოლოფი ცარიელია.
II – რასაც ეძებთ, აქ დევს.
III – II კოლოფი ცარიელია.

წარწერებიდან მხოლოდ ერთი შესაბამება სიმართლეს. რომელ კოლოფში დევს კინოფირი?

- (ა) I-ში
(ბ) II-ში
(გ) III-ში
(დ) ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მონაცემები არაა საკმარისი

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართვულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

თამაში ბავშვის ქცევის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა და მისი ფსიქოფიზიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ საკვირველი არაა, რომ ეს ფენომენი მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. თამაშის არსის გასარკვევად არაერთი თეორია შეიქმნა. უილიამ შტერნის თანახმად, ისინი შეიძლება პირობითად დავყოთ „აწმყოს“, „წარსულისა“ და „მომავლის“ თეორიებად.

აწმყოს თეორიებიდან ერთ-ერთი პირველი ჰერბერტ სპენსერმა შეიმუშავა. მისი აზრით, ბავშვს გაცილებით მეტი ენერგია აქვს იმასთან შედარებით, რაც ცხოვრებისეული ამოცანების გადაჭრისას სჭირდება. ბუნებრივია, ჩნდება ზედმეტი ენერგიისგან განტვირთვის აუცილებლობა. სპენსერის აზრით, განტვირთვა სწორედ თამაშის პროცესში ხდება: თამაში არის ორგანიზმი დაგროვილი ჭარბი ენერგიის ხარჯვა წინასწარ განსაზღვრული მიზნის გარეშე. მაგრამ ვინაიდან ბავშვის თამაშს ყოველთვის აქვს გარკვეული შინაარსი, სპენსერი იძულებულია ამის ასახსნელად, „ჭარბი ენერგიის“ ცნებასთან ერთად, „მიბაძვის“ ცნებასაც მიმართოს: ბავშვი მიმბაძველი არსებაა, მისი თამაშის შინაარსი დიდების საჭმიანობის, სხვადასხვა აქტივობის მიბაძვის საფუძველზე იქმნება. ამით აიხსნება, რომ ბავშვი ცხენობანას თამაშობს, „სახლებსა“ და „კოშკებს“ აგებს და ა.შ.

